აკაკი, ვაჟა

მომისმენია აკაკი, ვაჟა,
ახლა ეთერის ხმებში მღერიან:
დღესაც ტაშს ვუკრავ, ვუყივი ვაშას
მათი სიმღერა დამდაღველია..,
გვათბობს ღვთიურ ხმის ცეცხლის გურგური,
ჩვენი მტრის გულის დასამჟავებლად.
მღერის აკაკი, როგორც ბულბული,
და არწივიჯით - ვაჟა-ფშაველა.

განა ბულბული,
განა არწივი?
მათი სიმღერით სამშობლო მღერის..,
და საქართველოს წმინდა ბარძიმი
სავსეა მათი ცრემლის ნამქერით:

სულ ცოცხალია, სულ უკვდავია,
ერის ცრემლებით რაც ინამება:
რაც მებრძოლია, - ცეცხლმსუნთქავია
ვერ შეაშინებს ბედის წამება!

როგორც რჩეულთა ძველი წესია,
საომარი გზით ვლიდენ იგინიც,
დაფნის გვირგვინზე უწმინდესია
მოწამის შუბლზე ეკლის გვირგვინი

განვლეს ეკალი, მოიმკეს ვარდი,
სიკვდილის ცელი ვერ მოერიათ:
ახლა ჰშვენიან დიდების კვართით,
ხალხის უწმინდეს გულში მღერიან.